სამოტივაციო წერილი

მედიაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებამ, კერძოდ, ტელევიზიაში, რადიოსა და ციფრულ მედიაში ფორმალურმა თუ არაფორმალურმა აკადემიურმა განათლებამ/მუშაობამ მომცა ის თეორიული ცოდნა და ტრანსფერული უნარები, რომელთა საშუალებითაც შემიძლია ხელმძღვანელის პოზიციაზე წარმატებით მუშაობა, ახალი იდეების გენერაციიდან დაწყებული, მათი მაქსიმალურად ოპტიმალური გზით განხორციელება და მაღალი შედეგის მიღწევა, ორგანიზაციის განვითარებისთვის ევროპული მედიასტანდარტების დანერგვა და ბრძოლა ყალბი ახალი ამბების წინააღმდეგ, რაც დღეს მსოფლიოს პირველი მტერია.

არსებული მედიაგარემო სწრაფად ცვალებადია, ციფრული მაუწყებლობის პროცესები, რომელიც გარკვეულ ადაპტირებას საჭიროებს, მოითხოვს შესაბამის უნარებს და მუდმივ განვითარებას, რისთვისაც მცდელობას არ ვიშურებ მაუწყებელში დავნერგო უახლესი ტექნოლოგიები, რომელიც უპასუხებს და შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. ვცდილობ, გავუმკლავდე იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას საზოგადოებრივი მედია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომლის განხორციელების პროცესი უკვე დაწყებულია, არის საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდაქმნა სანდო და საიმედო მედიის ცენტრად, რომელიც ღია და ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის.

მე ვარ საზოგადოებრივი მედიის იდეის ერთგული და იმ ღირებულებების გამტარებელი, რომელსაც ევროპის მაუწყებელთა კავშირი წარმოადგენს, კერძოდ: უნივერსალურობა, დამოუკიდებლობა, სრულყოფილება, მრავალფეროვნება, ანგარიშვალდებულება და ინოვაცია. თუმცა საზოგადოებრივი მედია არ არის მხოლოდ ამ ღირებულებების ჩამონათვალი, ეს არის უმაღლესი, სანდო მედიასტანდარტების იდეა რომელსაც შესწევს ძალა, რომ დაეხმაროს საზოგადოებას გახდეს უკეთესი.

სრულად ვაცნობიერებ საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოწვევებს, როგორც საქართველოში, ასევე ზოგადად, საზოგადოებრივი მედიის შესახებ არსებულ დისკურსს საერთაშორისო ასპარეზზე. მაქვს პატივი, ვიყო ევროპის მაუწყებელთა კავშირში (EBU) მედიამართვის კომიტეტის წევრი, ასევე, გენდერული თანასწორობის ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელთა ალიანსი 56 ქვეყნის 115 წევრს, 900 ლოკალურ და რეგიონულ ტელე-რადიო სერვისს აერთიანებს. ეს კი საშუალებას მაძლევს, ორგანიზაციაში სრულფასოვნად დავამკვიდრო ევროპული მედიასტანდარტები და უზრუნველვყო

მუდმივად ცვალებადი, განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. ეს არის დასავლეთის მედიასაშუალებების საუკეთესო პრაქტიკის ადაპტირება და დანერგვა, სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობით, თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლება და უამრავი სერვისის და საგრანტო პროექტის შესაძლებლობის გამოყენება, რომელიც მაუწყებლის პროდუქტს და წარმოებას უფრო მრავალფეროვანს გახდის.

ვთვლი, რომ ჩემი, როგორც მენეჯერის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება და ძლიერი მხარე გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარია, რაც დამეხმარება მოკლე დროში ეფექტიანი მოქმედებით საზოგადოებრივ მაუწყებელს მეტი დინამიკურობა და მოქნილობა შევძინო.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორად არჩევის შემთხვევაში, მჯერა, რომ ჩემი გამოცდილებითა და უნარებით წარმატებით გავაგრძელებ იმ საქმეს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჩემმა წინამორბედმა ვასილ მაღლაფერიძემ. მოხარული ვიქნები, თუ მომეცემა შესაძლებლობა, ორგანიზაციაში არსებულ ძლიერ გუნდთან ერთად უზრუნველვყო იმ მიზნების მიღწევა, რომლებიც საზოგადოებრივ მაუწყებელს შეუცვლელს გახდის საზოგადოებისთვის და ხელს შეუწყობს ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, იყოს ლიდერი, სანდო, ძლიერი, საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული და მისი ინტერესების გამტარებელი მედიაორგანიზაცია.

მზად ვარ, ძალ-ღონე არ დავიშურო იმ სივრცის შესაქმნელად, სადაც ჟურნალისტები, რეჟისორები, მსახიობები, შემსრულებლები, მწერლები აკეთებენ თავიანთი ცხოვრების უპირველეს და უმთავრეს საქმეს.

თინათინ ბერძენიშვილი

საზოგადოებრივი მაუწყებლის

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი